ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

N __/__/__/__

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია 201_ წლის ____ _____ შემდეგ მხარეებს შორის:

1. **შპს** "_____", იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი _____; წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით შემდგომში **„გამყიდველად"** წოდებული;

2.1. შპს "_____" იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, _____; წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით;

2.2. შპს "_____" იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, _____; წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით;

2.3. შპს "_____" იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, _____; წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით;

სამივე შემდგომში „მყიდველად" წოდებული;

ვინაიდან, 2012 წლის 7 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №27/04 ბრძანებითდამტკიცებული იქნა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესი, რომლის თანახმადაც ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს დაევალათ ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟება;

ვინაიდან, ზემოაღნიშნული წესის თანახმად იმ ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს ან/და მეწარმე სუბიექტს, რომელთა შესასვლელი განლაგებულია ფეხით მოსიარულეთა გზის ერთსა და იმავე სავალ ნაწილზე ერთმანეთის გვერდით, არა უმეტეს 10 მეტრის დაშორებით, უფლება მიეცათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დაამონტაჟონ გარე ვიდეომეთვალყურეობის საერთო სისტემა;

ვინაიდან, მყიდველს წარმადგენს სამი მეწარმე სუბიექტი, რომელთა ვალუტის გადამცვლელ პუნქტების შესასვლელი განლაგებულია ფეხით მოსიარულეთა გზის ერთსა და იმავე სავალ ნაწილზე ერთმანეთის გვერდით, არა უმეტეს 10 მეტრის დაშორებით;

ვინაიდან, მყიდველები (სამივე მეწარმე სუბიექტი) შეთანხმებული ვართ თანაბარ წილათ შევიძინოთ დაა დავამონტაჟოთ ერთი გარე ვიდეომეთვალყურეობის საერთო სისტემა, რომელიც იქნება სამივე მეწარმე სუბიექტის თანასაკუთრება;

მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში ხელშეკრულება) ხელის მოწერით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს დანართი #1 –ით გათვალისწინებულ ქონებას (შემდგომში „ქონებად“ წოდებული) და ახდენს აღნიშნული ქონების მონტაჟს (შემდგომში მომსახურებად წოდებული);

1.2. მყიდველის მიერ შენილი ქონება უნდა იყოს ახალი და მისი მონტაჟის დროს გამოყენებული უნდა იქნეს უმაღლესი ხარისხის მასალა, რომლის ხარისხიც მის გამოყენებამდე შემოწმებული უნდა იქნეს გამყიდველის მიერ;

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. გამყიდველი ვალდებულია:

2.1.1. მყიდველს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ქონება.

2.1.2. ქონება უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო.

2.1.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად მყიდველს მიაწოდოს ქონება და გადასცეს მასზე საკუთრებისა და შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი.

2.1.4. მყიდველს მიაწოდოს ქონება, ქონების მიწოდების პერიოდში, ქ.თბილისში ქონებისთვის დადგენილი საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

2.1.5. მოახდინოს გარე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მონტაჟი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, ისე, რომ სამივე ვალუტის გადამცვლელი პუნქტი აკმაყოფილებდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვალის №27/04 ბრძანებით დამტკიცებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წეს ;

2.1.6. ქონების მონტაჟი განახორციელოს შემდეგ მისამართზე:————————————————————————

2.1.7. მყიდველს აუხსნას ქონების ექსპლუატაციის წესები;

2.1.8. აუნაზღაურის მყიდველს ის ზიანი რაც მას მიადგება სამუშაოს არაჯეროვანი შესრულებით (მათ შორის თუ რომელიმე მყიდველი დააჯარიმეს ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის ასაწორი ან არასრული მონტაჟისა ან/და ფუნქციონირებისათვის);

2.1.9. დაიცვას სამუშაოს შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

2.1.10. პირადად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულები და არ გადასცეს მესამე პირებს შესასრულებლად.

2.1.11. თავისი ხარჯით მოახდინოს ყველა იმ მასალის შეძენა, რაც აუცილებელია სამუშაოს შესრულებისათვის, აღნიშნული მასალის ღირებულება გათვალისწინებულია გამყიდველისათვის გადასახდელ თანხაში;

2.1.12. შეამოწმოს მის მიერ სამუშაოს შესრულების დროს გამოსაყენებელი ან გამოყენებული ნებისმიერი მასალის ან ქონების ხარისხი. იგი პასუხს აგებს უხარისხო ქონების ან/და მასალისათვის ან/და ამ მასალის გამოყენებით დამდგარ ზიანზე.

2.2. გამყიდველს უფლება აქვს:

2.2.1. მოითხოვოს მყიდველისაგან ქონების ღირებულების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადახდა.

2.2.2. მოთხოვოს მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება.

2.3. მყიდველი ვალდებულია:

2.3.1. ქონების ღირებულების გადახდა აწარმოოს ხელშეკრულების მესამე მუხლის შესაბამისად.

2.3.2. დროულად მოახდინოს ქონების მიღება.

2.4. მყიდველს უფლება აქვს:

2.4.1. მოთხოვოს გამყიდველს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ქონების გადაცემა.

2.4.2. მოთხოვოს გამყიდველს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების თანახმად ქონების მიწოდება.

2.4.3. საჭიროებისამებრ მოთხოვოს გამყიდველს ქონების დოკუმენტების (საჭიროა დაკონკრეტდეს თუ რა დოკუმენტები შეიძლება ახლდეს ქონებას) დროული გადაცემა.

3. ქონების ღირებულება და გადახდის წესი

3.1. ხელშერკულებით გათვალისწინებული ქონებისა, მომსახურებისა და მომსახურების დროს გამოყენებული მასალის ღირებულება, რომელიც მყიდველმა გამყიდველს უნდა გადაუხადოს შეადგენს --------- (----------) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშერკულების 3.1. პუქტით გათვალისწინებული თანხის გადახდას თანაბარ წილად ახდენს თითოეული მყიდველი;

3.3. ქონების ღირებულების გადახდა წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, ქონების მიწოდებიდან 4 თვის განმავლობაში.

4. ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლა

4.1. გამყიდველიდან მყიდველზე ქონებაზე საკუთრების უფლება გადასვლა მოხდება გამყიდველის მიერ სასაქონლო ზედნადების გამოწერის და ორივე მხარის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერებით გაფორმების შემდგომ.

5. საგარანტიო პირობები

5.1. სამუშაოს სესრულების ფარგლებში გამყიდველის მიერ მყიდველისათვის მიწოდებული ქონების საგარანტიო ვადა შეადგენს მისი მონტაჟიდან 01 (ერთი) წელს;

5.2. იმ შემთხვევაში, თუ ქონების მონტაჟიდან 02 (ორი) კვირის განმავლობაში ქონება გამოვიდა მწყობრიდან და/ან არ ფუნქციონირებს გამყიდველი ვალდებულია უმოკეს ვადაში მოახდინოს ქონების გამოცვლა იგივე ხარისხის ახალი ქონებით. ამ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ქონების მონტაჟის ღირებულება, ან თვითონ მოახდინოს ქონების მონტაჟი;

5.3. საექსპლუატაციო-საგარანტიო ვადის განმავლობაში გამყიდველი ვალდებულია უმოკლეს გონივრულ ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ქონების ექსპლუატაციისათვის ხელისშემშლელი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა;

5.4. სამუშაოს დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მოახდინოს შესრულებულ სამუშაოში წარმოქმნილი შეფერხების, დაზიანების ან სხვა ექსპლუატაციისათვის ხელისშემშლელი ხარვეზის აღმოფხვრა.

5.5. საგარანტიო პერიოდში გამყიდველის მიერ შესრულებლი ვალდებულების ღირებულება შედის სამუშაოს ღირებულებაში;

5.6. ქონების სხვა საგარანტიო პირობები ასახულია იმ შესაბამის დოკუმენტში, რომელსაც ქონების გადაცემისას გამყიდველი გადასცემს მყიდველს. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულ დებულებებსა და ხელშეკრულების პიროებებს შორის განსხვავების (შეუსაბამობა, წინააღმდეგობა) შემთხვევაში გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა.

6.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, ეპიდემია, სტიქიური უბედურებები ან სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, რომელიც აფერხებენ ან შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

7.2. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს აცნობონ ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნუშნული ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის შესაბამისად.

8. სხვა დებულებები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა ის საკითხი რაც დარეგულირებული არ არის ხელშეკრულებით უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად.

9.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„გამყიდველი“

შპს “_____”

დირექტორი: _____ _____ ხელმოწერა:

„მყიდველი“

შპს “_____”

დირექტორი: _____ _____ ხელმოწერა:

„მყიდველი“
შპს “_____”
დირექტორი: _____ _____ ხელმოწერა:

„მყიდველი“
შპს “_____”
დირექტორი: _____ _____ ხელმოწერა: